



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N1**

ქ. ლანჩხუთი

05. 01. 2018 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ელისო ჭიჭინაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე, გოგი მორჩილაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე, სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბუეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიურო რიგგარეშე სხდომის ფორმატში შეიკრიბა საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით. სხდომაზე წარმოდგენილია რიგი საკითხებისა, რომელთა დროულად განხილვა მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ელისო ჭიჭინაძის განცხადების განხილვა.

/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ შექმნის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი

კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო სოციალურ, საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ელისო ჭიჭინაძის განცხადება, რომელიც ეხება კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომას. საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეგლამენტის თანახმად, საკრებულოს თანამდებობის პირს შეუძლია ნებისმიერ დროს, მიზეზის მითითებით ან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე განაცხადოს თავისი გადადგომის შესახებ. შესაბამისი განცხადება წარედგინება საკრებულოს ბიუროს, რომელიც მას გააცნობს საკრებულოს უახლოეს სხდომას. საკრებულოს თანამდებობის პირი გადამდგარად ითვლება განცხადების ბიუროსათვის წარდგენის დღიდან.

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ** მადლობა გადაუხადა კოლეგებს იმ მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რასაც მათი მხრიდან გრძნობდა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობისას. მისი თქმით, ოჯახური პირობების გამო ამ ეტაპზე იძულებულია გადადგას ეს ნაბიჯი, რადგან ურჩევნია წავიდეს თანამდებობიდან, ვიდრე ფეხი ვერ აუწყოს იმ რეჟიმსა და დატვირთულ საქმიანობას, რაც ევალება სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, მაგრამ ის რჩება აღნიშნული კომისიის აქტიურ წევრად.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** მადლობა გადაუხადა სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარეს, ელისო ჭიჭინაძეს იმ შემართებული შრომისთვის, რაც გაწია ამ პერიოდში. მისი თქმით, საკრებულოს წევრი რჩება მათ გვერდით და სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში აქტიურად იქნება ჩართული.

ბიუროს რიგგარეშე სხდომამ ცნობად მიიღო საკრებულოს წევრის, ელისო ჭიჭინაძის განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე და აღნიშნული ინფორმაცია ეცნობება საკრებულოს უახლოეს სხდომას.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ შექმნის შესახებ ბიუროს წევრებს კომისიის დასკვნა გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ

განიხილა საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილი განცხადება ფრაქციის „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ დაფუძნების თაობაზე და განმარტა, რომ ფრაქცია სრულად აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. შესაბამისად, აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით კომისიამ მიიღო დადებითი დასკვნა. ფრაქციის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად: ლელა ჩახვაძე-ფრაქციის თავმჯდომარე, იოსებ ჩხაიძე – თავმჯდომარის მოადგილე, კახაბერ ასკურავა-მდივანი.

ბიუროს წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ შექმნის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ვერიკო კვიციანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
- ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;
- დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;
- ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;
- ვ) ცენტრ „იავნანა“ -ს თანადაფინანსების პროგრამა;
- ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;
- თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

- ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;
- კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
- ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“ -ს სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის;
- მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა;
- ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა;
- ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა;
- პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა;
- ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი

უწყება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციითურთ შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.
3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.
4. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი

დოკუმენტაციის ნუსხა.

კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე.

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა –განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან ქულის ამონაწერი.

გ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, ინფრასტრუქტურისა

და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, განმცხადებლის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ფართის მეპატრონის საჯარო რეესტრიდან ამონაწერი, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული

ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის ბანკის ანგარიში.

დ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ე) მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა- მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა.

ვ) ცენტრ „იავნანა“-ს თანადაფინანსების პროგრამა - გახარჯული კომუნალური, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ზ) ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის

ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი.

თ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში.

ი) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება, სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა და კალკულაცია, განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი);, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ(პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი), ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა -განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცით-

ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეტიგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ლ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბი“ -ს სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის- ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში.

მ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა), სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურა, ცნობა სარეტიგო ქულის შესახებ. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა). თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/ავთიაქის საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მერიაში შემოსულ განცხადებებს კომისიური წესით განიხილავს სამსახური თვეში ერთჯერ მაინც ან აუცილებლობის გათვალისწინებით.

2. საჯარო პრინციპების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, სამსახურის მიერ სოციალური დახმარების გაცემის საკითხთა განხილვაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ დაინტერესებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ამ მიზნით სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს სამსახურის მიერ სოციალური დახმარებების გაცემის საკითხთა განხილვის ადგილის, დროისა და თარიღის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის წინასწარ განთავსებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე.

მუხლი 6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სოციალური დახმარების გაცემის საკითხზე დასკვნის მომზადება ხდება ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე.

3. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში

იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება,

ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი

ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

4. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სამსახურის სხდომის ოქმები

1. სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვის მიზნით სამსახურის ყოველი შეხვედრისას დგება შესაბამისი ოქმი.

2. სამსახურის მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება დასკვნის სახით, აისახება ამ ოქმში.

3. სამსახურის შეხვედრის ოქმის სათანადო წესით გაფორმებას, სამსახურის უფროსის დავალებით, უზრუნველყოფს სამსახურის ერთ-ერთი თანამშრომელი.

4. სამსახურის შეხვედრის ოქმები იკრიბება ცალკე საქალაქო რიგითობის მიხედვით.

5. ოქმის სათანადო წესით შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია სამსახურის უფროსი.

მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება

ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის

მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „კ“ პუნქტით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, რადგან დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 9. ფულადი დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.
2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.
3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, მოქალაქეების უმრავლესობას აქვს ID ბარათი, სადაც არ არის მითითებული მათი რეგისტრაციის ადგილი. შესაბამისად, რადგან ბიუჯეტი გათვლილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებულ მოქალაქეებზე, იმისთვის, რომ მათ ისარგებლონ ყველა ამ სიკეთით და ჩართულები იყვნენ სოციალურ პროგრამებში, საჭიროა დამატებით საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პირადად ვერ ახერხებს საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნას, მაშინ მისი კანონიერი წარმომადგენელი მიუთითებს ამის შესახებ, ხოლო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ამზადებს შესაბამის წერილობით მიმართვას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთვის, რომლის საფუძველზე აღნიშნულ სამსახურს ეგზავნება საინფორმაციო ბარათი. 10 დღის განმავლობაში მისი გამოთხოვნა არის უფასო, 5 დღის განმავლობაში - 2 ლარი და 50 თეთრი, ხოლო დაჩქარებული წესით გამოთხოვნის შემთხვევაში - 10 ლარი. ეს ტარიფები განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვადის** აზრით, საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნა უნდა მოხდეს მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ, რადგან ისედაც გაჭირვებულ მოქალაქეებს ზედმეტი ბარიერები არ უნდა შეექმნას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ შეიძლება მოქალაქე მუდმივად ცხოვრობდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მაგრამ რეგისტრაცია გავლილი ქონდეს სხვაგან. საკრებულოს წევრის თქმით, ეს უხერხული თემაა, რადგან ასეთ შემთხვევას წინა წლებში ქონდა ადგილი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პიროვნება, რომელსაც ესაჭიროებოდა დახმარება, ფაქტიურად ცხოვრობდა ქ. თბილისში.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს ეხებოდა ცხოვრების და რეგისტრაციის ფაქტორს, ანუ მოქალაქე შეიძლება ცხოვრობდეს ნებისმიერ ადგილას, მაგრამ თუ რეგისტრირებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, მას შეეძლება ისარგებლოს შესაბამისი სოციალური მომსახურებით, მით უმეტეს, რომ რეგისტრაცია უფასოა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძის** თქმით, თუ პიროვნება ცხოვრობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში და რეგისტრირებულია სხვაგან, მაშინ სათანადო დახმარებას ვერ მიიღებს. საკრებულოს წევრის აზრით, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს უნდა ქონდეთ გარკვეული ცნობის გაცემის საფუძველი, რომ მოქალაქე ნამდვილად მუდმივად ცხოვრობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. არ არის საჭირო ზედმეტი დაბრკოლებების შექმნა, რადგან ზოგჯერ ადგილი აქვს ისეთ ფაქტებს, როცა თვალნათლივ ცხადია, რომ მოქალაქეს აუცილებლად ესაჭიროება გარკვეული დახმარება, არის კიდევ ამის

ფინანსური საშუალება, მაგრამ ქალაქში დაწერილი ბარიერების გამო ვერ ხერხდება შესაბამისი დახმარების გაწევა.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, სწორედ ამის მომხრეა, რომ ეს ბარიერები მოისპოს. ამიტომ საკითხი უნდა განიხილოს საკრებულოს ყველა კომისიამ და ფრაქციამ, მაქსიმალურად ჩაერთოს ყველა დეპუტატი, რადგან შემდგომში დაგვარად შემცირდეს ასეთი დაბრკოლებები და მოქალაქეებს არ შეექმნათ ზედმეტი წინააღმდეგობები.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** თქმით, მხედველობაში მისაღებია საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შეიძლება მოქალაქე არ იყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად აქ ცხოვრობდეს. ასეთ შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი. მაშინ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ პიროვნების რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მოთხოვნილი იქნება დამატებითი ცნობა იმის შესახებ, რომ ამ მუნიციპალიტეტიდან მას არ მიუღია სოციალური დახმარება, რადგან შესაძლებელია, რომ მოქალაქემ იქაც ისარგებლოს დახმარებით და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც მოითხოვოს სოციალური შემწეობა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში შეიძლება სულ ასეთს რამდენიმე ფაქტს ქონდეს ადგილი. საკრებულოს წევრის აზრით, იმიტომ ყავს მუნიციპალიტეტის მერს წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში და ხალხის მიერ იმიტომ იქნა არჩეული მაჟორიტარი დეპუტატები, რომ გარკვეულ პასუხისმგებლობას ისინიც იღებენ საკუთარ თავზე. ძალიან მცირეა იმის ალბათობა, რომ რაღაც ცდომილება გაიპარება, მაგრამ ტრაგედია ის უფროა, როცა გაჭირვებული ადამიანი გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ ბოლოსდაბოლოს მიიღებს ფინანსურ დახმარებას, მაგრამ მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს საკითხი რამდენჯერმე იქნა განხილული საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე. მისი თქმით, ეთანხმება საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მოქალაქეებს ნამდვილად არ უნდა შეექმნათ ზედმეტი წინაღობები, მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ისიც, თუ სად არის პიროვნება რეგისტრირებული. მით უმეტეს, რომ რეგისტრაცია უფასოა და მოქალაქეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ გადმოეწერონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის, **გოგი მორჩილაძის** თქმით, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისთვის საარჩევნო სიების მიხედვით ხომ უნდა იყოს ცნობილი ამა თუ იმ მოქალაქის რეგისტრაციის ადგილი.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** განმარტებით, ამ სიებით ვერ ისარგებლებენ იქედან გამომდინარე, რომ მოქალაქეს ნებისმიერ დროს შეუძლია შეიცვალოს რეგისტრაციის ადგილი და ეს ინფორმაცია არ ექნება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს. ასევე, ისინი ვერ გააკონტროლებენ იმას, კონკრეტულმა მოქალაქემ ისარგებლა თუ არა სხვა მუნიციპალიტეტში რაიმე სახის

დახმარებით. სამოქალაქო რეესტრიდან საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დაწესებულია სპეციალური მოსაკრებლები. განსაზღვრულია 10 დღიანი ვადა, რომლის განმავლობაში ბარათის გამოთხოვნა ხდება უფასოდ, ხოლო თუ პიროვნებას იგი ესაჭიროება იმავე დღეს, მაშინ ღირებულება შეადგენს 10 ლარს. როდესაც არსებობს ასეთი გადაუდებელი აუცილებლობა, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური არავის პრობლემას არ შეუქმნის. მათ მიერ მოხდება საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნა, რომლის მეშვეობით დასტურდება, რომ ესა თუ ის მოქალაქე რეესტრირებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ წარმოდგენილ პროექტში ჩაიწეროს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები და რეესტრირებული“, მაგრამ ასევე, დაინტერესდა, როცა არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა და საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნა ხდება მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ, ამ შემთხვევაში ვინ იხდის დადგენილ საფასურს.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** თქმით, მუნიციპალიტეტი თავისუფლდება და თანხას არ იხდის, მაგრამ ეს არის მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როცა პიროვნებას აქვს ჯანმრთელობის განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობა. ეს ეხება დიალევით მკურნალობის საკითხს ან სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებთან დაკავშირებულ დახმარებას. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ უნდა მოხდეს იმ დოკუმენტაციის დასაბუთება, თუ რატომ ხდება მათ მიერ საინფორმაციო ბარათის გამოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო რეესტრი აღნიშნულ ინფორმაციის არ მიაწვდის.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციების სხდომებზე დეტალურად უნდა მოხდეს საკითხის განხილვა, საჭიროა ყველა დეპუტატის მაქსიმალურად ჩართულობა ამ პროცესებში, მაგრამ ასევე აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინება. ის ეთანხმება საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს, რომ საინფორმაციო ბარათები მართლაც დაბრკოლებაა და ეს ბიუროკრატიული მექანიზმი ხალხთან მიმართებაში უნდა მოწესრიგდეს, რათა მათ გაუადვილდეთ ამა თუ იმ დახმარების დროულად მიღება. თითქმის ყოველი თვის დასაწყისში ხდება სხვადასხვა პრობლემებთან შეჯახება, რადგან მოქალაქეებს გონიათ, რომ მარტივად ხდება დახმარების გაწევა. მიღებული უნდა იქნას ისეთი წესი, რომლითაც გამარტივდება ეს პროცესი. ასევე, აუცილებლად თვეში ან ორ თვეში ერთხელ უნდა გადამოწმდეს, თუ რომელ და როგორ ოჯახებზე გაიცა დახმარება. მუნიციპალიტეტის მერის აზრით, ამ საკითხს მაქსიმალურად უნდა გაკონტროლება.

საკრებულოს თავმჯდომარე, **ბესიკ ტაბიძე** დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საკითხის გულდასმით განხილვა უნდა მოხდეს საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე, რათა შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები. მან ასევე აღნიშნა, რომ ის დეპუტატები, რომლებიც იყვნენ წინა მოწვევის საკრებულოში, საკითხთან მიმართებაში საქმის კურსში არიან, მაგრამ საკრებულოს ახალ წევრებს დაჭირდებათ გარკვეული დახმარება, რათა შუამდგომლობები მომზადდეს ადგილზე, ვინაიდან მერის წარმომადგენლები ამ ეტაპისთვის იმყოფებიან შვებულელებში.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამების მიღების შემდეგ ცნობილი გახდება, თუ როგორ ჩამოყალიბდება ისინი და რა დოკუმენტაცია იქნება საჭირო. ამასთან, ამ დროისთვის უკვე დაკომპლექტებული იქნება ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლები. მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ მათ ჩაუტარდება ტრენინგები, რომლებზეც შესაბამისად მოწვეული იქნებიან სოციალური სააგენტოს თანამშრომლებიც. მერიის წარმომადგენლებს ყველა საჭირო ინფორმაცია მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით, რათა თითოეული მათგანისთვის ცნობილი გახდეს, თუ რომელი მუნიციპალური პროგრამები იმოქმედებს, რა დოკუმენტაცია იქნება საჭირო, რის შემდეგაც ექნებათ შესაძლებლობა მოსახლეობას ადგილზე მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის განცხადებით, იმის გამო, რომ თვის ბოლოსთვის დასრულდება ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლების დანიშვნის საკითხი, დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფნის პროგრამის ფუნქციონირებისას იქმნება გარკვეული პრობლემები. კერძოდ, ამ პროგრამის ფარგლებში მერიის წარმომადგენლის მიერ ხდებოდა დადასტურება, რომ კონკრეტული მოქალაქე არ ფლობდა არანაირ ქონებას, რის საფუძველზეც ხდებოდა მიმართვა ადმინისტრაციისადმი, რომელიც გაცემდა ცნობას უსახლკარობის შესახებ, რის შემდეგაც ფორმდებოდა ქირავნობის ხელშეკრულება. ამ ეტაპისთვის, კონკრეტულ მოქალაქეებთან ფაქტობრივად გრძელდება ეს ხელშეკრულებები, რისთვისაც მათ უნდა შემოიტანონ სრულყოფილი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა სამართლებრივი კუთხით უნდა იქნას მოწესრიგებული, რისთვისაც საჭიროა გარკვეული კონსულტაციები მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, რათა მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ჩამოყალიბდეს გარკვეულ პოზიციაზე, რადგან მოქალაქეებს ხელი არ შეეშალოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა წევრი გაფრთხილებულია შუამდგომლობის თუ სხვა საჭირო ცნობის გაცემასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მოქალაქეებისთვის ხელის შეშლა და დროულად გაეწიოს შესაბამისი დახმარება.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე, **გოგი მორჩილაძე** და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდნენ, თუ რა სახის ცნობის გაცემა შეეძლება დეპუტატს და ექნება თუ არა რაიმე საბუთის გაცემის უფლება იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა მოქალაქე არანაირ ქონებას არ ფლობს.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** განმარტებით, იმისთვის, რომ ეს საკითხი იქნას მოწესრიგებული სამართლებრივი კუთხით, კონსულტაციები უნდა ჩატარდეს ასევე იურისტებთან. ამ ეტაპისთვის, რადგან მერიის წარმომადგენლები ვერ გაცემენ საჭირო საბუთს, დეპუტატს შეეძლება მოამზადოს შუამდგომლობა, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება, ხოლო ცნობას გაცემს მერიის ადმინისტრაციული სამსახური. იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა პიროვნება არ ფლობს რაიმე სახის ქონებას, ამის შესახებ შესაბამის ცნობას აიღებს საჯარო რეესტრიდან, წარუდგენს დეპუტატს, რომელიც დაადასტურებს, რომ ეს მოქალაქე ნამდვილად არ ფლობს არანაირ ქონებას და მას უნდა მიეცეს ცნობა უსახლკარობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ მათ მიერ მაქსიმალურად გაკონტროლდეს და გადამოწმდეს ქირავნობის პროგრამაში ჩართული ოჯახები, რადგან ადგილი აქვს ფაქტებს, როცა მოქალაქეს სოფლად გააჩნია სახლკარი, მაგრამ სურვილი აქვს ქალაქში ცხოვრების და ამის გამო მომართავს თხოვნით, რათა ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით. ამ დროს კი რეალურად გაცილებით მეტი ადამიანი საჭიროებს ამ კუთხით დახმარების გაწევას.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, ქალბატონმა რამდენჯერმე მიმართა თხოვნით, რომ მეუღლე ყავს ფსიქიურად დაავადებული, ემუქრება ოჯახის წევრებს, რომლებიც არაერთხელ მდგარან ამ პიროვნების მხრიდან რეალური საფრთხის წინაშე, მაგრამ ამ ოჯახის მონაცემები ვერ მოერგო ქირავნობის პროგრამაში ჩასმას. ეს ქალბატონი დღეს იმყოფება ქუჩაში. ასეთი შემთხვევა მუნიციპალიტეტში შეიძლება იყოს ერთი ან ორი. დეპუტატები უნდა ჩაერთოს პროცესში, როცა საქმე ეხება მსგავს ფაქტებს და ასეთი კონკრეტული ოჯახები აუცილებლად უნდა შეიყვანონ ქირავნობის პროგრამაში, რადგან, როცა ასეთი დაავადების მქონე ადამიანების შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყავთ, რამდენიმე დღის შემდეგ ხდება მათი ოჯახებში დაბრუნება და ვერაფერ ვერ იქნება იმის გარანტი, რომ ეს პიროვნებები არ გააგრძელებენ ძალადობას, რასაც შეიძლება საბოლოოდ გამოუსწორებელი შედეგი მოყვეს.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის, **თამარ ფირცხალაიშვილის** განმარტებით, ამ ქალბატონს ექნება მინიჭებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსი, რის შესახებაც სოციალური სააგენტოდან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ გამოითხოვება სათანადო ინფორმაცია, რომელიც მიღებულ იქნება ცნობად და შესაბამისად, მოქალაქე ჩაერთვება ამ პროგრამაში. ზოგადად, ასეთი ფაქტების შესახებ ინფორმაციას ფლობს სოციალური სააგენტო. შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს უფლება გაცეს შემაკავებელი ორდერი, რასაც დაადასტურებს სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი, რომელიც დასკვნაში მიუთითებს, რომ ასეთი პიროვნებები საჭიროებენ ოჯახიდან განრიდებას. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია მიიღება ცნობად.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“.

3. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტი დარიგდება საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში, სადაც მოხდება მათი დეტალურად განხილვა.

საკრებულოს თავმჯდომარის, **ბესიკ ტაბიძის** განცხადებით, როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს და მაჟორიტარ დეპუტატს ძალიან აინტერესებს აღნიშნული საკითხი, რადგან ხალხი მიიღებს მეტ სარგებელს. საკრებულოს ყველა წევრმა უნდა გაინაწილოს ის პასუხისმგებლობა, რაც დაეკისრათ. შესაბამისად, მოსახლეობა დააფასებს მათ მიერ გაკეთებულ სასიკეთო საქმეებს. აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით მოწვეულ იქნა სოციალური სამსახურის სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრის უფროსი, რათა ყველა დეპუტატი სათანადოდ გარკვეული ყოფილიყო აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას სოციალური პრობლემები. მოსახლეობას ამ კუთხით აქვთ გარკვეული კითხვები, რომელთაც ხელისუფლების მხრიდან უნდა გაეცეს შესაბამისი და დამაჯერებელი პასუხები. მაგრამ საჭიროა გარკვეულ წილად მიდგომის შეცვლა. მას, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს დიდი სურვილი აქვს, რომ ნიგეზიანის თემში არსებული დაზიანებული სახლების უმრავლესობა გადაიხუროს, მაგრამ მის მიერ შემოტანილ იქნა განცხადება მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ, რომელთაც დაეწვათ სახლი და სახურავის მაგიერ ცელოფანი აქვთ გადაფარებული.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის, **გოგი მორჩილაძის** თქმით, მის მიერ შემოტანილ იქნა დაახლოებით 20-მდე განცხადება აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სახლების გადახურვასთან დაკავშირებით, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზიანდნენ. აღნიშნულ სახლებში წვიმის დროს ღამის გათენება თითქმის შეუძლებელია. ძალიან ცუდი სიტუაციაა ასევე გზებთან დაკავშირებით. ძიმითი-აკეთის დამაკავშირებელი გზა ფაქტიურად არ არსებობს, ე.წ. ქანთარიების გორზე სკოლის სამარშრუტო ავტომობილს მოსწავლეები ვერ გამოყავს. ასევე დაზიანებულია 2 ხიდი, რის შედეგადაც რამდენიმე ოჯახი მოწყვეტილია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხა, მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გადანაწილდა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ფუნქციონალური კოდი 710 ანუ სოციალური დაცვის ქვეშ ჩამოთვლილია: ხანდაზმულთა დაცვა, ოჯახებისა და ბავშვების დაცვა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ამის შემდეგ კი ფუნქციონალური კოდის 7107 ქვეშ ჩაწერილია დასახელება „სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას“ და ამ კუთხით გამოყოფილია 30000 ლარი.

საკრებულოს წევრის თქმით, 2016 წელს ამ მიზნით ათვისებულ იქნა 15000 ლარი, 2017 წელს დაგეგმილი იყო 20000 ლარი, მაგრამ მისთვის უცნობია, თუ რა ოდენობის თანხა იქნა ათვისებული, 2018 წლისთვის კი პროექტი არის 30000 ლარი. დეპუტატისთვის გაუგებარია ამ თანხის დანიშნულება და მიზნობრიობა, თუ როგორ უნდა იქნას გამოყენებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ფუნქციონალური კოდის ქვეშ 7109 ჩაწერილია „სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში“, რომლისთვისაც გამოყოფილია 276300 ლარი. საკრებულოს წევრის აზრით, ეს თანხა არ არის მცირე ოდენობის და იძლევა ლავირების საშუალებას.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს არის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენასთან დაკავშირებული თანხები, რომლებიც გათვალისწინებულია პროგრამის მიხედვით, ხოლო რაც შეეხება საბიუჯეტო ტერმინოლოგიას, მისი თქმით, გაუჭირდება პასუხის გაცემა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** ასევე განმარტა, რომ საბიუჯეტო ტერმინოლოგიის მიხედვით, პროექტში სხვანაირად ვერ ჩაიწერებოდა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“.
3. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ

წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სოციალურ კულტურული ღონისძიებების კულტურულ, სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სხვადასხვა პროგრამიდან თანხის გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ადგენს ღონისძიებათა დაფინანსების ძირითად მოთხოვნებს.

მუხლი 1. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებია:

- ა) საჩუქრებისა და პრიზების შეძენის პროგრამა;
- ბ) ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- გ) სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
- დ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
- ე) ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;
- ვ) სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
- ზ) წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
- თ) შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
- ი) ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
- კ) კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
- ლ) სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა;

მუხლი 2. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

მუხლი 3. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების მისაღებად

განცხადებისა და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამიდან დაფინანსების მისაღებად დაინტერესებული პირი (კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორი ან სამსახური, ვის მიერაც ხდება სამიზნე ჯგუფის შერჩევა), წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ღონისძიების დაფინანსების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
2. კონკრეტული ღონისძიების ორგანიზატორის განცხადებას, თან უნდა ახლდეს ჩასატარებელი ღონისძიებების პროგრამა.
3. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და დაფინანსების მოთხოვნა პროგრამებიდან ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის შუამდგომლობით.
4. შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან დაფინანსების მოთხოვნელთა განცხადებების განხილვას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. განცხადებების განხილვა

შემოსულ განცხადებებს განიხილავს და შესაბამის დასკვნას ამზადებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახური.

მუხლი 5. სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღება

სამსახური სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

მუხლი 6. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც სამსახურის დასკვნის საფუძველზე გამოსცემს შესაბამის ბრძანებას ან/და აფორმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

მუხლი 7. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსება

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამის დაფინანსებას, კანონმდებლობით დადგენილი

წესით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის თქმით, აღნიშნული პროექტი განხილული იქნება საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ. შესაბამისად მოხდება საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“.
3. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემდეგი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამები:

1. საჩუქრებისა და პრიზების შექმნის პროგრამა;
2. ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
3. სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე ჩატარების პროგრამა;
4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამა;
5. ახალგაზრდული სპორტული ტურნირების მხარდაჭერის პროგრამა;
6. სხვადასხვა ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების პროგრამა;
7. წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა;
8. შემოქმედთა წახალისების პროგრამა;
9. ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა;
10. კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა;
11. სოც-კულტურული ღონისძიებების ორგანიზების პროგრამა.

ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N84 განკარგულება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–მრეწველები“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“.
3. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.


საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke extending to the right.